

ლისტურ საზოგადოების ერთ-ერთ უმთავრეს ფუნქციას.

როგორც ვხედავთ სოციალიზმის და სპეციალურად რუსეთის ეკონომიურ სინამდვილე, მისი მრავალფეროვნების და საერთოდ მეურნეობის ტენიკურ დონე საკმარისი ყოფილა. ნიადაგი, რომელსაც უნდა წარმოეზა და რომელზედაც უნდა დაფუძნებულიყო წარმოების და განაწილების საზოგადოებრივი ორგანიზაცია და ფორმა—შემზადილი ყოფილა. ქვეყნით დაფინანსავთ, რომ ხელსაყრელი პირობები არსებულა ახალი წყობილების კალატორების დამოკიდებულებაში დრომოქმულ საზოგადოების და წყობილების დამკვეთლადმი.

5. ვექტორი.

აღმოსავლეთის კრისა.

ვახ. „ერთობა“ ვერ უღალატებს მხოლოდ ერთს: ბალშევიკების ლანძღვა-ვინებას. ამ ხელობაში ის იმდენად გამოკანხარებულია, რომ თუ საჭირო დარჩა, თვალ-დახუჭული შესარულტებს ბალშევიკების შესახებ ნათქვამებს. სხვა საგანთა შესახებ კი დღეს ერთს იტყვის, ხელსეირს, ხეც მესამეს და ასე დაუსრულებლათ. აი მაგ., რასა სწერს ის მუშათა კლასის როლზე ომისა და რევოლუციის დროს:

„მსოფლიო ომის დაწყება ევროპაში მსოფლიო მუშათა ორგანიზაციის დაშლით აღინიშნა. ჯერ შინაური მტერი იქმნა დაკაპიტულ-დაუძღურებული, შემდეგ გარეშე მტერს ეკვეთა ევროპის სისხლიანი ხმალი, მუშათა მასასში დიდი დეზორგანიზაციის შეტანით დაუმარჩილეს იგი თავის მიზნებს და ამსახურეს კაპიტალიზმის უფულო ღმერთებს.“

მუშათა კლასი დამორჩილეს და ამსახურეს კაპიტალიზმის ღმერთებს. ეს მართალია. მაგრამ ვინ ჩაიდინა ეს საქმე? რატომ გარკვევით არ ამბობთ? ან როგორი როლი ითამაშეს ამ მუხანათურ საქმეში თქვენმა დღევანდელმა საყვარელმა სტუმრებმა, მერე ინტერნაციონალის ბელადებმა? თქვენ გემძიმებთ ომის თქმა და ჩვენ მოგასხებთ: მათ უნდასრულეს იუდა-გამცემის როლი, მათ უღალატეს მუშათა კლასს, მიეყიდნ თავის ბურჟუაზიას, დაუბნეს დავთარი მათზე მოიმედეს სხვა და სხვა ქვეყნის შრომელ ხალხს და ერთმანეთს მიუსიეს სინი საკლეტათ.

ერთობა“ განაგრძობს:

„მაგრამ უმავალითა ომმა თავის შედეგებით მუშათა შეუფხვრელი მასებით ძირიანად შესძრა და ააზნაურა. სიდაც ყველაზე მამულიშვილურათ იყო განწყობილი მასას—იქ ყველაზე ადრე გაიძვრა ყინული მათი ურეაბრო-ტული გრძნობის—და რევოლუციონერმა ყვინამ მოიცილა არე მარე. რუსეთის მუშა, რომელიც მეფის ხიშტს გაყვა, პირველმა შეაბრუნა ეს მწვეტიანი იარაღი თავისი შინაური მტარვლის წინააღმდეგ.“

ამ შემთხვევაში რუსეთის მუშამ შესარულა ბალშევიკის ინტერნაციონალური კონგრესის ანდერძი, რომელიც მოითხოვდა რომ ომის დროს მუშებს თავისი გებატონებული კლასების წინააღმდეგ მიემართათ თავისი იარაღი. ეს ყველა კარგი, მაგრამ გეკითხებით, რომელმა თქვენმა სტუმართაგანმა, რომლებსაც თქვენ დღეს თავს ევლებით, შესარულა ეს ანდერძი? რომელმა მათგანმა მოუწოდა მუშათა კლასს თავისი ბურჟუაზიის წინააღმდეგ მიემართა თავისი მახვილი? რასაკირველია, არც ერთმა და მეორე ინტერნაციონალის ბელადების—დღეს თქვენის სტუმრების—გარყვნილება და გაათახსირება, გამცემლობა და მოღალატეობა სწორეთ ამ ფაქტში გამოხატება. უდიდესი თქვენის სტუმართა შორის—ბ. ვანდერველდე დღესაც არ ფიქრობს ბალშევიკის ანდერძი მოიგონოს, მუშათა კლასი ბურჟუაზიას დაუპირდაპიროს და პირიქით, მშვენივრათ გრძნობს თავს მეფე-ალბერტის მინისტრის საგარემლოში, რომელიც დამყარებულია მუშათა კლასის უზომო გაყვლეფზე. გამოტყდით, რომ ასეთი ლიდერები ასეთი სისხლიანი მავალითის შემდეგ მუშათა კლასს ვეღარ მოატყუებს და თავისკენ ვეღარ მიიბრუნებენ. თქვენ მაინც გაქვთ ამის იმედი:

„ევროპის მუშათა მოძრაობა ვერ შეეგუება ლენინიზმის აზიურობას.“

დღეს მისი შეხვედბი მხოლოდ პროლეტარიატის უმნიშვნელო ჯგუფებში იწვევს გამოძახილს. მასსა კი თავის კლასობრივი გზით მიდის, ამ გზით კლასთვლებს იგი ინტერნაციონალის გაბზარულ კედლებს, ამ გზით გადახალი-სებს იგი ევროპის ბურჟუაზიულ საზოგადოებრივობას პროლეტარულ შრომის ქვეყნათ.“

ლენინის წინააღმდეგ ვანდერველდესთან ერთათ ასეთია „ერთობის“ გზა.

აღმოსავლეთის ხალხთა ყრილობა

შეორე სხდომა. 2 სექტემბერი.

როდესაც უკვე უახლოვდებით ბაქოს სახელმწიფო თეატრს, ხედავთ, რომ იქ რაღაც არაჩვეულებრივი, განადიდებული რამ ხდება. ხალხი მიისწრაფის თეატრისკენ, ჯგუფდებიან შესავლელ კარებთან, დიდი ცნობის მოყვარებით ჩასტკერიან ფეხით თუ ეტლით მოსულ ყრილობის დელეგატებს. ამ, მართლაც და მსოფლიო ისტორიულ მოვლენას, ყველანი ირგვლივ დიდის ყურადღებით ეპყრობიან. ხალხში მხოლოდ იმაზე მსჯელობენ, თუ როგორ შევიდნენ თეატრის დარბაზში, მოისმინონ ორატორების სიტყვები, შეხედონ ყრილობას. მაგრამ ეს უბრალო ცნობის მოყვარება არ არის. თუ არის, სულ მცირე რიცხვი, ან სულ არ არის აქ უსაქმო, ბურჟუაზიული დამსწრენი. არა, აქ ყველანი მუშები და მოსამსახურენი არიან, რამელთაც რამოდენიმე საათი თავისუფალი დრო უხეტითებით, რომელთაც დიდი სურვილი აქვთ გაიგონ ამ დიდ ისტორიულ მოვლენის მნიშვნელობა, გაიგონ თუ, რა კეთდება, შეისწავლონ პოლიტიკა. ადახართ ზევით, თუ ქვევით ჩამოდიხართ, ან დარბაზში შეხვალთ—ყვე გან ხედვით სულ სხვაგვარ ტანთარსებულებას, გასაკვირვებელი თავთ სახურავებით, გესმით განუწყვეტელი გუგუნე სხვა და სხვა ენებზე. თეატრის სკენა სავსეა სხვა და სხვა დაწესებულებების და ორგანიზაციების წარმომადგენლებით.

აქვე არის კინემატოგრაფი, აბარატი, რომელსაც ყრილობის ყველაზე უფრო საინტერესო მომენტები. დაახლოვებით საღამოს 7 საათზე პრეზიდენტის მაგიდასთან მოდის ახმ. ზინოვიევი. მქუხარე ტაშის კვების გამო მთელი დარბაზი ზანზარებს.

ახმ. ზინოვიევი.—კრებას გახსნილათ ვაცხადებ. ფრაქციებთან შეთანხმებით პრეზიდენტი წინადადებას იძლევა მოისმინოთ ახმ. კ. რადეკის მოხსენება: საერთაშორისო მდგომარეობაზე და ყრილობის მიზნებზე. ამის შემდეგ გახსნილი იქნება კამათი ჩემისა და ახმ. რადეკის მოხსენებების შესახებ. წინააღმდეგი არავინ არის.

სკენაზე გამოდის ახმ. რადეკი. მის ყრილობა ოცადიებს უმართავს.

მთელი ყრილობა და დამსწრე საზოგადოება ფეხზე დგება და ტაშს უკრავს თავგანწირულ რევოლუციონერ მებრძოლს. სკენას ანათებენ განსაკუთრებული სინათლით. შენდაუნებურათ გრძნობ, რომ ეს სინათლე ალმოსავლეთის გამოღვიძების ძლევამოსილების სიმბოლო, რომელიც გამოწვეულია რუსეთის დიდი რევოლუციის სხივებით. დაბოლოს, ხან გრძობივ ოჯახიების შემდეგ ახმ. რადეკი იწყებს თავის მოხსენებას, რასაც მთელი დარბაზი დიდი ყურადღებით ისმენს. ის ლაპარაკობს ნელა, გარკვეულათ. ყოველივე მისი სიტყვა გალესილი, მკრეული დანაა, ძლიერ მკვეთრი და მოფიქრებულელი. გრძნობთ, რომ მომხსენებელს კარგათ აქვს შეგნებული მომენტის სიდიადე და ყოველივე აქ წარმოთქმულ სიტყვისათვის დიდი პასუხის მეგებლობა. სიტყვის საკვირველი მთლიანობა, უბრალო გამოთქმა რაზრის სიმარტივე ხიზლავს მსმენელებს. იზვიათად თუ შეგებდებათ მისი-მინათ ასეთი ღრმათ დასაბუთებულობა, მოფიქრებულობა და მდიდარი შინაარსიანი მოხსენება. აქ არ არის საერთო ფრაზები, წამოძახილები, არამედ აქ არის სწორი, ცივი გონებით მოფიქრებული და აწონილი ფაქტების აღწუსება და აქედან გამომდინარე დაუარღვეველი ლოლიკური დანსკვნები. ახმ. რადეკის სიტყვა სამსენაზე გადითარგმნა. თარგმანებმაც დიდი ენტუსიზმი გამოიწვია. მოხსენებებზე

მაგრამ ვანდერველდეს უქვევლათ ბურჟუაზიასთან მიყავს ინტერნაციონალიც და მუშათა კლასიც. სხვა გზა მან არ იცის და არც საჭიროებს. ან ლენინთან და მუშათა კლასთან ერთათ ბურჟუაზიის წინააღმდეგ, ან ვანდერველდესთან და ბურჟუაზიასთან ერთათ მუშათა კლასის წინააღმდეგ. სხვა გზა არ არსებობს და ამ ორი გზიდან. „ერთობას“ უკვე ნაპოვნი აქვს თავისი გზა, რომელია იგი—მკითხველი ადვილათ გამოიცნობს.

არ ყოფილა ხანგრძლივი კამათი. ილაპარაკა მხოლოდ რამოდენიმე ორატორმა. შემდეგ გამოცხადებულ იქნა ყრილობის სექციებათ დაყოფის რიგი. კრება გაათავდა ღამის 12 საათზე ინტერნაციონალის სიმღერით.

ახმ. რადეკის სიტყვა. საერთაშორისო მდგომარეობა და აღმოსავლეთის ხალხთა ამოცანები. (2 სექტემ. სხდომაზე).

1) ინგლის-რუსეთის ბრძოლა ახლო აღმოსავლეთისთვის.

ამხანაგებო! გუშინ ჩვენ ისეთი სკენის მოწამენი შევიქენით, რომელიც, ნამდვილი ამ სიტყვის მნიშვნელობათ, არის ნამდვილი ისტორიული სკენა. როდესაც აქ თავმოყრილი აღმოსავლეთის შრომელ მასების წარმომადგენლებმა მოისმინეს ევროპის აჯანყებულ მუშების წარმომადგენლებისაგან ის, რომ ევროპის პროლეტარიატი მზათ არის სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გამოუცხადოს მთელი ქვეყნის კაპიტალისტებს, რომლებიც ამდენ ხანს სტანჯავდნენ არა მარტო ევროპის მუშებს, არამედ აღმოსავლეთის ხალხის მასებს—ამ დროს, აქ, ერთი გრძნობით გაღვთილნი ფეხზე წამოდგნ ამ დამჩარულ მასების წარმომადგენლები და ფიცი დასდგეს, რომ ისინი სამღვროთ ომს გამოუცხადებენ მშრომელ ქვეყნის მტანჯულებას, რომ ისინი ხელი-ხელ ჩაკიდებულნი იბრძობენ ევროპის მუშებთან ერთად. მაგრამ, ამხანაგებო იმ ბრძოლაში, რომელიც ჩვენ მოგველის, არ არის საკმაო მარტო აღფრთოვანება, არ არის საკმაო მარტო, მხავგრებულობა სიძულვილი. აღმოსავლეთის ხალხის მასებმა კარგად უნდა იციდნ მსოფლიო პოლიტიკის მიმართულება, ხაზი. მათ გარკვეულათ უნდა იციდნ მოწინააღმდეგის ძალთა რაოდენობა, უნდა იციდნ აგრეთვე მოწინააღმდეგის სუსტი მხარეები, უნდა გამოყენებულ იქნას მოწინააღმდეგის რიგებში ყოველივე გაბზარული ადვოკატი, რომ მტრისავე ბანაკში აწარმოვო მტრის საწინააღმდეგო ბრძოლა. საერთაშორისო პროლეტარიატი გაფაციკებით ადვენებს თვალყურს საერთაშორისო პოლიტიკის ცვალებადობას. სწორეთ, რომ ეს, საერთაშორისო მდგომარეობის ახლოს გაცნობა დიდ სამსახურს უწევს პროლეტარიატს კაპიტალის წინააღმდეგ დაწყებულ ბრძოლაში. ამ მხრივ ახლო აღმოსავლეთის შრომელი მასები იმავე დონეზე უნდა იდგნ, როგორც ევროპის მუშათა მასები. მათ გაფაციკებით უნდა ადვენონ თვალყური მოწინააღმდეგეს, უნდა კარგათ გამოარჩიონ აჯანყებისათვის ხელსაყრელი მომენტი. ამიტომაც ჩვენ ვერ დავემყოფილდით თქვენი აზრების საერთო ხაზით და დღეურ წესრიგში დავსვით კითხვა საერთაშორისო მდგომარეობაზე, რომლებიც თქვენს წინაშე სტაარა აღმოსავლეთი, რომელზედაც ასე მუშხარებით მოგვიბორობდა ამხნარიმანოვი, იტანჯება ევროპის კაპიტალისტების მონობის უღლისაგან არა მარტო ერთი ათეული წელით.

აღმოსავლეთის ხალხები ას წელზე მეტია, რაც გახდნენ ექსპლოატაციის, პოლიტიკურ მონობის და განუწყვეტელ ომების სავნათ კაპიტალისტურ მძარცველების ხელში. ამ დრომდის ისინი იყენენ მხოლოდ და მხოლოდ მარტო ნივით. ამდენ ხანს მათ ვერ შესძლეს საკუთარი თავისი ძალებით წინააღმდეგობა გაეწიათ მსოფლიო მძარცველების სურვილებისთვის. მე 19 საუკუნის ისტორიის ფურცლები სავსეა ინგლისის კაპიტალისტებსა და რუსეთის მემამულე-კაპიტალისტების მეფის მთავრობის შორის ბრძოლის ეპიზოდებით. ისინი ებრძოდნ

ერთი მერეს ოსმალეთის, სპარსეთის და მცირე აზიისათვის, რომლების დამყრობა ორივე მხარეს ძლიერ სურდათ. რუსეთის მეფის მთავრობას სურდა ხელში ჩაეგდო სპარსეთი და აგრეთვე თავისი ლუქმათ გაეხადა ოსმალეთი. მისი სურვილი იყო დაეპყრო და დაემონაგებია ოსმალეთის გლეხები, მოეპოვა თავისუფალი გასასვლელი გზა ხმელთაშუა ზღვაზე, რომ აქ გაეზომა თავისი და ინგლისის კაპიტალის ძალები. რუსეთის მეფის მთავრობა მიდიოდა სპარსეთში, მიდიოდა იმითკომ, რომ დაეპყრო და დაემონაგებია სპარსეთის გლეხები, სპარსეთში მიდიოდა ის იმითკომ, რომ აქედან რაიმე ფერად მიეღწია ინდოეთამდის, ამ ინგლისის კაპიტალის ბატონობის დედა ბოძამდის, ამ ზღაპრულ ინდოეთამდის, რომელიც ინდუს გლეხების სისხლით კვეებავს ინგლისელ კაპიტალისტებს, ჰკვეებავს ლონდონის ბირჯის, რომელიც საშუალებას აძლევს ინგლისის ბურჟუაზიის უმცროს შვილებს, შეიძინონ მილიონები და ამ მილიონების დახმარებით მოაწყონ თავისი სამშობლოში პარაზიტების ცხოვრება. ამ ბრძოლაში ერთნაირი ღირებულების იყენენ ორივე მხარე—ინგლისის ჰუმანიური კაპიტალიზმი, ინგლისელი ბრძანებლები და რუსეთის ბარბაროული ცარიზმი. როდესაც კი მოსახერხებელი იყო ინგლისის კაპიტალისტებისთვის, ისინი ყოველთვის იცავდნ ოსმალეთს და სპარსეთის რუსეთის ცარიზმის წინააღმდეგ, ამ დროს ისინი თავგამოდებით, გუმანფშის დროშის ქვეშ, მოითხოვდნ, რომ ადამიანურად მოპყრობდნ აღმოსავლეთის ხალხებს, ისინი უსაყვედურებდნ რუსეთის ცარიზმს, რომ მისი სურვილია ჩაყლაპოს ეს ხარხები, რომ მათზე ძალდატანება იხმაროს და ყველგოს ისინი. მაგრამ საკმარისი იყოს, ის, რომ ინგლისის კაპიტალიზმმა კავშირი შეკრა რუსეთის ცარიზმთან და მან მაშინვე წამოაყენა ოსმალეთის მოსაპობის ლოზუნგი, წამოაყენა ინგლისის მინისტრი გლადსტონის ძვილი თოხნევი—დაიგოჯოს ოსმალეთის სხეული!

მე ვიგოჯობ, ამხანაგებო, მხოლოდ იმ ფაქტს, რომ ინგლის-რუსეთის ბრძოლა სპარსეთის დასაპყრობათ, ბრძოლა ცარიზმსა და ინგლისის კაპიტალიზმს შორის დამთავრდა 1907 წელში მეგობრული მოიგებით, რომლის დროს სპარსეთი ორივე მხარემ გაიყვეს თანაბრათ. ამის შემდეგ ინგლისის კაპიტალისტებს შიში არ ქონდათ, ისინი გულდაწყნარებული უტკეროდნ, როდესაც მეფის უხახის გენერალი ლიხახოვი სპობდა სპარსეთის ნორჩ თავისუფლებას. როდესაც ყახახების რაზმებმა გარკვეს მეჯლისი, როდესაც ისინი თეირანისა და თავრიზის ქუჩებზე აღორბოდნ სპარსეთის რევოლუციონერ ხალხის წარმომადგენლებს—ამ დროს ინგლისის კაპიტალისტები თავს იმართლებდნ, ხელს იბანდნ პოლატესავით, და აცხადებდნ, რომ ისინი ამ საქმეში არაფერ შუაში არიან, მათ არავითარი დანაშაული არ მიუძღვით ამ ამბებში. მაგრამ, მიუხედავათ იმისა, რომ ინგლისელ კაპიტალისტებს თავის ხელში ყავდათ გამომწყვდეული ცარიზმი, რადგან რუსეთის ცარიზმი სულ მთლად, ფინანსურად დამოკიდებული იყო ინგლისის კაპიტალზე, მათ (ინგლისის კაპიტალისტებმა) თითქც არ გაანძირიეს სპარსეთის ხალხის დასაცავათ. ეს ცოტაა. ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი ლორდ გრემი უბრძანა ინგლისის პეტროგრადელ ელჩს—ბიუკენენს, განეცხადებია რუსეთის მეფის მთავრობისათვის, რომ ინგლისი არავითარ წინააღმდეგობას არ გაუწევს რუსეთს თავის მოქმედებაში, (სპარსეთში) თუ რომ რუსეთის ცარიზმი არ გააიყვანს თავის ჯარებს სპარსეთის ჩრდილოეთის საზღვრებრიდან. ყახაჩ-მოჯირბერი შეთანხმდნ იმაში, რომ სპარსეთი გაყვეს ორ ნაწილად. ჩრდილოეთ სპარსეთი ზისცეს ლიხახოვის ჯალათებს, სამხრეთ სპარსეთი კი, უნდა ყოფილიყო ინგლისის კაპიტალისტების ხელში. სამხრეთ სპარსეთი იქნებოდა როგორც მოწინავე ციხე, ბარიერი, იმ შემთხვევაში, თუ რუსები მოისურვებდნ ინდოეთში შექრას.

გერმანიის და ინგლისის ბრძოლა

2.—ახლო აღმოსავლეთის დასაპყრობათ. აღმოსავლეთის ხალხების დასაპყრობათ რუსეთ—ინგლისის ბრძოლა, ამ უკანასკნელათ წელიწადში შეცვლილ იქნა მსოფლიო ბრძოლით—ერთ მხარეზე

იყო ამ ბრძოლის დროს ანტანტის ჯგუფი, ინგლისის და საფრანგეთის კაპიტალისტები, რომლებთან ხელი-ხელ კიდებული მიდიოდა რუსეთის ცარიზმი და მეორე მხარეზე იყო გერმანიის მოკავშირეთა ჯგუფი. და ჩვენ ხელახლა ვხედავთ, რომ ერთი გერმანიის ინგლისელები და მეორე მხრივ გერმანიის კაპიტალისტები ამბობენ, რომ ისინი ჩიდიან აღმოსავლეთში იმითკომ, რომ წიქიტანონ იქ განათლება, ასწავლონ ხალხს მეცნიერება, იმითკომ, რომ შეასწავლონ ხალხს, თუ როგორ უნდა მანქანების მოხმარა. ნამდვილათ ეს ეს ბრძოლა სწარმოებდა იმითკომ, რომ ხელში ჩაეგდოთ ოსმალეთის და სპარსეთის ხალხას სიმდიდრე, ეს ბრძოლა იყო ჩვეულებრივი მძარცველების ბრძოლა. ინგლისელებმა გადაწყვიტეს მანამ დაენაწილებიათ და გაეყუათ ოსმალეთი, სანამ ის მოასწრებდა წელში გასწორებას ახალგაზდა თურქების აჯანყების შემდეგ. როდესაც ინგლისმა დაინახა, რამახალგაზდა—თურქების მთავრობას სურს შეადგინოს არმია, სურს დააწესოს პროგრესიული გადასახადების სისტემა და შეადგინოს აგრეთვე ადმინისტრაცია, ამ დროს ინგლისის კაპიტალისტებმა გადასწყვიტეს რაც შეიძლება ჩქარადავლიჯონ ოსმალეთი ნაკუწებათ, რაცეგან ოსმალეთს მათთვის ძლიერ დიდამნიშვნელოვან ჰქონდა. ინგლისის მსოფლიო სამეფო ვაფანტულია მთელს ქვეყნიერობაზე. ინგლისის კაპიტალი ბატონობს აფრიკაში. მის ხელშია სამხრეთ აფრიკის მადნეულობა და აგრეთვე ევროპის მდიდარი მინერალები. ამავე დროს ინგლისის მსოფლიო ბატონობის წყარო არის ინდოეთში, სადაც 300 მილიონ მეტი გლეხობა მუშაობს ინგლისის კაპიტალისტებისთვის. ინდოეთსა და აფრიკის ინგლისის კოლონიებს შორის იყო ოსმალეთი, ამის გამო ინგლისის სურვილი იყო ოსმალეთის განადგურება. ამის შემდეგ ინგლისის კაპიტალი შესძლებდა შეერთება რკინის გზით, რომელიც გაიყვლიდა არავიანში და მესობოტამიაში, ინგლისის, აფრიკის და ევროპის კოლონიები-ინდოეთთან. ამით ინგლისის კაპიტალი, რომელიც ბრძანებლობს აფრიკის და აზიის ასეთი მილიონ ხალხებზე, თავისუფლად გადაიყვანს თავის ჯარებს ქვეყნის ერთი კუთხიდან—მეორეში და შეუბრალდება ჩააღრმობს აღმოსავლეთის ხალხების ყოველივე ცდას, რომ წინააღმდეგობა გააწვიონ ინგლისის ბატონობას. ინგლისის კაპიტალმა სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა ოსმალეთს, რომ ამით ადვილათ დაემარცხებია ინდოეთში დაწყებული რევოლუციონური მოძრაობა. მეორე მხრით გერმანიის კაპიტალი, რომელიც გამოდიოდა როგორც განმანათავისუფლებელი, მხოლოდ იმითკომ უარყოფდა ოსმალეთის დაყოფას, რომ მისთვის ძნელი იყო ჩრდილოეთის ზვიდან აქამდის მოსვლა. გერმანიის კაპიტალს არ სურდა სპარსეთის დაღლევა ნაკუწებათ, რადგან არ ჰქონდა სპარსეთისკენ მიმავალი გზა. მისი სურვილი იყო მხოლოდ მთელი ოსმალეთის და მთელი სპარსეთის ეკონომიურად ხელში ჩაგდება და ახალგაზდა თურქების და სპარსეთის მთავრობის დახმარებით ეყვლითა ეს ხალხები.

3.—ინგლისის იმპერიალიზმი ს გამარჯვება და ახლო აღმოსავლეთის დაპყრობა-დამონება.

1914 წლის მსოფლიო ომი, რომელშიც დაიხილენ ათეული მილიონობით მუშქსა და გლეხები, ის ომი, რომლისგან მილონობით დახირბებულნი გამოვიდნ, რომელშიც დასტოვა ათეულ მილიონობით ქვირეობლები, აი ეს მსოფლიო ომი იმითკომ მოხდა, რომ გამოერკვიათ,—თუ რომელი ჯგუფი—ინგლის-საფრანგეთის, თუ გერმანიის ჯგუფი იბატონებს მთელს ქვეყნიერობაზე, თუ რომელ ჯგუფს მიეცემა მემკლდებლობა აზიის ასეთელ მალონი მუშები და გლეხები გაიხალოთ თავის მიერეთათ. ამ ომს ორივე მხარე აწარმოებდა დაჩარულ ეროვნებების განათავისუფლების ლოზუნგით. ინგლისის კაპიტალისტები 1908 წელს მიესალმენ ახალგაზდა თურქების გამოსვლას. ისინი ფიქრობდნ, რომ ახალგაზდა თურქები ივლიან მათთან ხელი ხელ ჩაკიდებულსა. ესლა კი თავის გულში ინგლისის კაპი-



სისტემებმა აღმოაჩინეს ღრმა სიძულვილი ახალგაზრდა თურქებისადმი. და ცხადებენ, რომ უნდა მოვსაოთ ოსმალეთის მთავრობა და ნაკლებად ვაქციოთ მსახურის ხალხი, რომ უნდა განვანთავსოთ ალმოსავლეთის კულტურული ძეგლები: არაბები, სირიელები და სომხები. ომი სწარმოებდა სულთანის და ხალგაზრდა თურქების მოსაპოვებლად და ალმოსავლეთის კულტურულ ძეგლების ამათავისუფლებლად! რით გათავდა ეს ომი? ამხანაგებო! ის გათავდა გერმანიის კაპიტალიზმის განადგურებით, რომლისთვისაც ალმოსავლეთის არც ერთი მუშა და გლეხი არ დადგინდა (კრემლმაც). მაგრამ იმავ დროს ეს ომი გათავდა, ინგლისის კაპიტალიზმის განადგურებით, რას ნიშნავს ეს გამარჯვება? ეს უკვე შეიტყვეს ალმოსავლეთის ხალხებმა. ეს გამარჯვება მას ნიშნავს, რომ ინგლისის სამხედრო ფლოტმა დაიკავა კონსტანტინეპოლი და სრულტემა, ეს გამარჯვება ნიშნავს იმას, რომ ინგლისის საექსპედიციო კორპუსმა დაიპყრო არაბეთი და სესოპოტამია, რომ საფრანგეთის ჯარებმა დაიპყრეს აგრეთვე სირია, საბერძნეთის ჯარებმა დაიპყრეს მცირე აზიის დასავლეთი ნაწილი ქალაქ სმირნის. ეს გამარჯვება იმას ნიშნავს, რომ საფრანგეთის და იტალიის ჯარებმა დაიპყრეს აზიის რეგიონი, არა ვითომდა იმ დრომდე, ანამ სულთანის აბსოლუტურმა ძალაში შექცევა, არამედ ოსმალეთი დაიპყრეს კომუნალიზმით, რომ იქ სამუდამოდ დარჩენილი ოსმალეთი პატარა ნაწილებით დასტურდა, ვითომდა იმ აზრით, რომ შექცევიდან დაიარსონ თავისუფალი, დემოკრატიული, ასირიის, მესოპოტამიის და არაბეთის სახელმწიფოები. თუ როგორია, ამხანაგებო, ეს თავისუფლება, ამის შესახებ ჩვენ გვაქვს ინგლისის და საფრანგეთის გაზეთებიდან საუკეთესო საბუთები. საფრანგეთი შეპირდა, რომ ის შექმნიდა თავისუფალ სირიას, ამიტომ მან მონახა კიდევ ამ საქმისთვის თავისი მონა-მოძრავი ემირი ფეიზალი. მაგრამ, როგორც კი ემირი ფეიზალი შესწავიდა საფრანგეთის კაპიტალისტების დღეულებზე, ცეკვა, მაშინვე საფრანგეთის ჯარებმა დაიკავეს დამასკი და განდევნეს ემირი ფეიზალი. ესლა სრულიათ აშკარათ შეპირდას საფრანგეთს მთელი სირია და გამაოგნებ იქნა იქვე ყველაფერი, რაც კი მოეწონებოდა საფრანგეთის კაპიტალისტებს და აგრეთვე სირიის ხალხს უკანაზღვრად თავის სასარგებლო კანონებს. ინგლისელები ბევრს დაპარაკობენ მესოპოტამიის დემოკრატიულ ძეგლებზე და ჩვენ სასწრაფოდ სანაზღვრობას ვხედავთ. ინგლისის კაპიტალიზმი, რომ ორ ნახევარ მილიონიან ხალხსაგან შექმნა დემოკრატიული სახელმწიფო, დახარჯა ერთი წლის განმავლობაში მილიარდის მეოთხედი გირვანკა სტერლინგი. კითხვა ისეა, თუ რა გამოიწვია ინგლისის ასეთი გულკომოციანი ინგლისი და საფრანგეთის შორის არსებულმა უთანხმოებამ გვაჩვენა, თუ რაშია საქმე. როდესაც ინგლისის პარლამენტში შეეკითხნენ ინგლისის პრემიერ მინისტრს, — ლორდ ჯორჯას— იღებს თუ არა ინგლისი თავის ხელში მესოპოტამიის სიმდიდრეს, აქვს თუ არა ინგლისის კაპიტალისტს რაიმე კონცესიები მესოპოტამიის, რომელიც აიძულდეს ინგლისის მთავრობას ამდენი ფულგები დახარჯოს— ამხანაგებო, ჯორჯამ უპასუხა, რომ ინგლისის იქ არავითარი კონცესიები არ აქვს, არაფერს არ მოითხოვს მესოპოტამიისთვის, არამედ ინგლისის მთავრობას სურს შეინარჩუნოს მხოლოდ ის კონცესიები, რომელიც სულთანის მთავრობამ მისცა ინგლისის კაპიტალისტებს.

მაგრამ, როდესაც ეს განცხადება ნამდვილად გასაგებ ენაზე გადათარგმნეს და გაიგეს თუ რას ნიშნავდა ეს პასუხი, (ეს ჩაიღინა არა სხვა ვინმემ, არამედ თვით საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბატონმა პიშონმა) გამოირკვა, რომ ინგლისელი კაპიტალისტების სტრუქტურა მესოპოტამიის არაბების ერობა-დროს სიმდიდრე—მესოპოტამიის მთელი ნავთის წარმოება. ეს ნავთი იყო გერმანიის კაპიტალისტების და ოსმალეთის მთავრობის ხელში. ესლა ინგლისელებმა მხოლოდ ამ ნავთის 25 პროცენტი მისცეს საფრანგეთს, დანარჩენი 75 პროცენტი კი თვით დაიტოვეს. ალმოსავლეთის ხალხები ცნობილი არიან თავისი ზრდილობა-თავაზიანობით, ამიტომ ალმოსავლეთის ხალხთა ყრბობაზე მე არ ვიქცევი, რომ ბატონი ლორდ-ჯორჯი მატყუარაა, მაგრამ ის კია, რომ ის არ სთვლის სახელმწიფო მოღვაწის მოვალეობათ, ადაღინოს სიმართლე. ეს სიმართლე იმაში მდგომარეობს, რომ ინგლისის კაპიტალიზმმა დაიპყრო მესოპოტამია, არა მისთვის, რომ გაენთავისუფლებოდა არაბები თათრების ბატონობა ძალდატანებისაგან, არამედ იმიტომ, რა გაენთავისუფლებია ისინი (არაბები) იმ ნავთისაგან, რომელსაც შეეძლო არაბები შეეჭმნა ალმოსავლეთში მდიდარ ეროვნებათ. (ტაში). თუ ჩვენ ვიკითხავთ, ამხანაგებო, თუ როგორ განთავისუფლდეს ინგლისელებმა, ფრანგებმა და ამერიკელებმა ბედურული სომხები, რომელთაც მიეღო ათიული წლების განმავლობაში ერეკობიდან თათრების და ქურთების წინააღმდეგ საბრძოლველად და რომელიც დატოვებდნენ თავისუფლებას და კულტურულ განვითარებას, თუ ჩვენ ვიკითხავთ, როგორ დაიცვენ მათ სომხეთის უფლებები, ამ მიზნებისთვის შეიძლება მიგითითოთ სომხების ამერიკულ ოფიციალურ გაზეთზე, რომელიც ყოველად საზოგადო სურათებზე აღწერს ამ განთავისუფლების ისტორიას. ეს გაზეთი „ახალი სომხეთი“, რომელიც ნიუ-იორკში გამოდის, მოგვითხრობს, როგორ განგებდა დაითანხმეს სომხები გაგზავნათ თავისი მოხალისე მარაკში, რომ ფრანგებთან ერთად დაეცვათ ეს ოქმი თათრებისაგან, ამის მაგიერ სომხებს დაბრუნდნენ ალექსანდრეტის მთავრად დაეცემას მაგრამ, როდესაც საქმე გადამწყვეტ ბრძოლამდის მივიდა, მაშინ საფრანგეთის საექსპედიციო კორპუსი წავიდა მარაჯიდან და 20 ათასი სომხების მოხალისე დასტოვეს ქემალ-ფაშის არმიის თვალწინ. ქემალ ფაშა მათ უყურებდა, როგორც თათრების მოწინააღმდეგეს, რომლებიც იბრძვიან ფრანგებთან ერთად. ამიტომ ირავან ერთი არ დაუტოვებია ცოცხალი. ამ უკანასკნელ დროს სომხების მხსნელის როლში გამოდის ამერიკა. ის აქვებდა საბრძოლველად სომხებს ყველა იმ მეზობელ ხალხების წინააღმდეგ, რომელთა შორის ცხოვრება არგუნა ბედმა სომხეთის ხალხს. დრო-გამოწვევით ამერიკელები უგზავნიდნენ გემით სომხებს პურს, მაგრამ ამას არ შეეძლო ეშველა სომხეთისთვის ხალხის სიმშობილი ვივსაგან. თქვენ იცით, რომ სომხეთის რესპუბლიკა, რომელსაც ასე სძვს ბალშევიზმი, საბჭოთა რუსეთი და რომლის (სომხეთის) ხელმძღვანელი ბურჟუაზიული პოლიტიკანები, რომლებმაც ანტანტას მიყიდეს ეს სომხეთის რესპუბლიკა, იძულებულია ესლა, რომ ზავი შეკრას საბჭოთა რუსეთთან, რადგან ის დარწმუნებულია, რომ არავითარი ხსნა არ არის ანტანტისაგან. რატომ ინგლისელები, რომლებსაც 80 ათასი ჯარის კაცი ყავთ მესოპოტამიაში, რომ არაბები განთავისუფლონ ნავთისაგან, არ გვაჩვენებენ თავის ჯარებს სომხეთში? ინგლისის ერთმა ხელმძღვანელმა გაზეთმა „მანჩესტერ გარდიენ“ მა თავის ფურცლებზე 12 მაისის ნომერში აშკარათ სთქვა ეს. ის ამბობს, რომ სომხეთში არ არის ნავთი, მაშასადამე არ არის ისეთი რამ, რისგანაც შეიძლება სომხეთის „განთავისუფლება“. არ შეიძლება სომხეთის გაძარცვა, ამიტომ შეიძლება მისი დატოვება სხვის საძარცვავათ. ის ამბობს, რომ თუ შევადარებთ ერთი მეორეს ინგლისის მთავრობის თვალსაზრისს მესოპოტამიის ნავთზე და სომხეთის ხალხის სისხლზე, ამ შემთხვევაში ეს შედარება სრულიათ დაიფარავს ინგლისის მთავრობას სირცხვილისაგან.

ასე ამბობს არა აჯანყებულ ინგლისელ მუშების გაზეთი, არამედ ინგლისის ბურჟუაზიული გაზეთი, რომელიც მიუხედავად იმის კრიტიკიზმისა—ახლოს სდგას ლორდ-ჯორჯის თვალსაზრისთან. როგორ ანთავისუფლებენ ინგლისელი კაპიტალისტები სპარსეთს, იმას შემდეგ რაც მიუხედავად მოკავშირეთა დახმარებისა, განადგურებულ იქნა რუსეთის ცარიზმი და რუსეთის კაპიტალიზმი, რუსეთის მუშებისა და გლეხებისაგან? ინგლისელი კაპიტალისტები ყოველთვის ამბობდნენ, რომ მათი მიზანია სპარსეთის მიმართ, მხოლოდ სპარსეთის განთავისუფლება. და ესლადელი ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი-ლორდ კერზონი, თავის ერთ წინგში სპარსეთის შესახებ, რომელიც გამოიცა 30 წლის წინად, ამბობს: — ინგლისის პოლიტიკის მიზანი სპარსეთის მიმართ არის—სპარსეთის დემოკრატიზაცია და თავისუფლება. წარსულ წლის აგვისტოს ინგლისის სპარსეთის შეთანხმება ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორი თავისუფლება სურს ინგლისის კაპიტალიზმს სპარსეთისათვის. ორი მილიონი გირვანკა სტერლინგით ოქროთი, ინგლისის კაპიტალისტურმა მთავრობამ იყიდა სპარსეთის მთავრობისაგან მიწერილი სპარსეთი. ამ ორ ნახევარ მილიონ ოქროთი, ინგლისელები იღებენ თავის ხელში სპარსეთის ფინანსებზე კონტროლს, დამოუკიდებლობას არმიის მოწყობის საქმეს და სხვას. მე ისევ შემიძლია ამ პოლიტიკის კითხვის შესახებ დავასახელო მეტათ ავტორიტეტული მოწვევა: საფრანგეთის მთავრობის გაზეთი „ტანი“ წარსულ წლის 17 აგვისტოს ნომერში შემდეგს სწერს: „იმ დროიდან, რა დროიდანაც სპარსეთის მთავრობა თავის ჯარის ხელმძღვანელობის საქმეს ბრიტანიის აფიკრებს გადასცემს და თავის ფინანსებს გადასცემს ბრიტანიის სპეციალისტებს, ამ დღიდან მას (სპარსეთის მთავრობას) არა აქვს არავითარი განსაკუთრებული თავისუფალი ძალა, ან სხვა რაიმე თავისუფალი საშუალება, რომლის დახმარებითაც მას შეეძლოს თავისი პოლიტიკის სუვერენიტეტი გამოაჩინოს, ან გამოაჩინოს მისი პოლიტიკის დამოუკიდებლობა“.

ეს არის—საფრანგეთის მთავრობის გაზეთის სიტყვები.

ამხანაგებო, რის ნიშნავს ყველა ეს? ეს ნიშნავს, არც მეტი, არც ნაკლები იმას, რომ ანტანტის კაპიტალიზმი საფრანგეთის მეთაურობით დაამარცხა გერმანიული მეტოქე (კონკურენტი), გერმანიული ყაჩაღი და დაიპყრო ალმოსავლეთის ასი მილიონიანი ხალხები, რომ ეს ალმოსავლეთის ხალხები გაიხადოს თავის მიზნებათ.

ალმოსავლეთ გლეხებისთვის ეს იმას ნიშნავს, რომ ის თუ წინათ გადასახადებს იხიდა იმისთვის, რომ ერჩინა სულთანის მუქიბარობები, ყველა ჯურის შაჰები, ემირები, ხანები, ეხლა კი ის იძულებულია ორჯერ მეტი იხადოს: ერთი რომ უნდა გადახადოს საკუთარ თავის მყვლეფლებს და მეორეთ გადახადოს ინგლისის და საფრანგეთის ჯარების შესანახათ, სარჩენად, რომლებიც დანიშნულდება დაიკავას ადგილობრივი კაპიტალისტების მიერ წარმოებული ექსპლოატაცია. ეს იმას ნიშნავს, რომ ხელთ იგდონ, რაც კი ოსმალეთში ბურჟუაზიული სიმდიდრეა, რომლის განვითარება მისცემდა ოსმალეთის ხალხს თავი. ის ხის გუთნების მაგიერ—რკინის და ორთქლის გუთნებს, მას, ესე იგი, ოსმალეთის ხალხს ექნებოდა საკუთარი თავისი შკოლები, ეხლა კი, როდესაც ინგლისის და საფრანგეთის კაპიტალისტები დაიპყრობენ მთელს ოსმალეთს და სპარსეთის სიმდიდრეებს, ისინი ამ სიმდიდრეს გამოიყენებენ, არა ალმოსავლეთის ხალხში კულტურის განსავითარებლათ არამედ თავის გასამდიდრებლათ, იმისთვის გამოიყენებენ ამ სიმდიდრეს, რომ ლონდონის და პარიზის ბანკებმა უფრო მსხვილი მოგებები ნახონ, ვიდრე ესლა ნახულობენ მოგებებს, როცა ესა აწარმოებენ ევროპის მუშების ექსპლოატაციას. (ტაშის კვრა). ამხანაგებო! ანტანტის გამარჯვების შედეგია ის შიში, რომ შეიძლება ამ გამარჯვებას მოყვეს ალმოსავლეთის ასეულ მილიონობით ხალხების სრული დამონება. „სამწინელია სიმართა, მარა ღმერთიც მოწყალეა“. ეს საფრთხე ჩავისის, როგორც უდიდესი მასსები აჯანყებებიან ევროპის მშრომელ მასსებთან ერთად, რადგან ვინც ამ მსოფლიო (იმპერიალისტურ) ომში გაიმარჯვა, თვითონვე არიან სავსე ქრილობებით, რომლებსაგანაც თვითონვე დიღუბებიან.

არის ციფრები, რომლებიც ნათლად აჩვენებენ, თუ რა დიდი სახელმწიფო ვალები აქვთ გამარჯვებულ ქვეყნებს. საფრანგეთის მთავრობას იმის განმავლობაში დაედო ვალად 200 მილიარდი ფრანკი. ინგლისის მთავრობას დაედა ვალად 160 მილიარდი, იტალიის მთავრობას კი—200 მილიარდი ვალი დაედა. ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა გამარჯვებულმა ქვეყნებმა, ამერიკის გამოკლებით, დაჰარგეს ამ ომში, სხვანაირად: ტყვია-წამლის სახით ჰაერში დაიწვა ამ უმდიდრეს ქვეყნების სახალხო ქონების არა ნაკლებ ნახევარსა და არა უმეტეს სამი მეოთხედი ნაწილისა. ეს იმას ნიშნავს, რომ არცერთ ამ მთავრობათაგან არ შეუძლია გამოახოს რაიმე საშუალება, რომ თავი დააღწიოს ფინანსური სიკოტრეს. ამ მთავრობებმა, რომ მოსურვონ თავიანთი ვალების გადახდა, ისინი იძულებული იქნებიან მოახდინონ კონფისკაცია თავიანთი ქვეყნის სიმდიდრის ორ მესამედ ნაწილის მიმართ. ეს იმას ნიშნავს—რომ ამ ქვეყნის ხალხს დაუტოვოს თავის სარჩენით მხოლოდ იმის ერთი მესამედი. რაც მათ ამ დრომდის ქონდათ. ეს შეუძლებელი საქმეა. ჩვენ ვხედავთ, რომ ამ გამარჯვებულ ქვეყნებს შორის წლების განმავლობაში არსებობს დავა იმაზე, თუ როგორ უშველონ თავს. გამარჯვებულთა შორის ყველაზე უფრო სუსტები—საფრანგეთის და იტალიის სახელმწიფოები მოუწოდებენ ინგლისის და ამერიკის კაპიტალისტებს, რომ ყველა ვალები შეგროვდნენ იქნას ერთად და ერთად იქნას გადახდილი ისე, რომ ვისაც მეტი სიმდიდრე აქვს, მან პირველად გადახადოს ვალები. მაგრამ ინგლისის და ამერიკის კაპიტალისტებს სრულიად არ სურთ გადახადონ საფრანგეთის და იტალიის კაპიტალისტების ვალები. მათ თავისი ვალების გადახდა არ შეუძლიათ. ინგლისის და ამერიკის კაპიტალისტები დიდი სიამოვნებით დგრიდენ სხვის

ბ ი უ ლ ე ტ ე ნ ი პ რ ი ს ბ ი უ რ ო ს ი
რ. ხ. ფ. ხ. რ. წარმომადგენლობის საქართველოში.

ამს. ტროცკის წერილი.

მოსკოვი, 18 სექტემბერი. გაზეთ „პრავდაში“ წერილია სათაურით: „დასავლეთის ფრონტი მოგვიხმობს“, სადაც ამს. ტროცკი სწერს: „პოლონეთის მმართველ წრეების ყოფა-ქცევა გვიმოწმებს იმას, რომ ისინი ზავს კი არ ელიან, არამედ ომის გაგრძელებას. ეს ნიშნავს იმას, რომ პოლონეთის, ბელორუსის, ლიტვის და გალიციის ფართო სივრცეზე იქნება გამართული პოლონეთის მემამულეების ბატონობის—განსამტკიცებლათ სასტიკი და დაუზოგველი ბრძოლები. მუშურ-გლეხური რუსეთის ბედი და ბედი თვით მთელი ქვეყნის მშრომელი კლასის დასავლეთ ფრონტის ბრძოლებით გადაწყდება. ახალ გადაწყვეტილებებისთვის, ახალი მსხვერპლის გასაღებათ ემზადება წითელი არმია, და მასთან ერთათ მთელი მშრომელი ქვეყანა.“

სრულიად რუსეთის რადიოზე მომუშავეთა ყრილობა

მოსკოვი, 16 სექტემბერი. გათავდა სრულიად რუსეთის რადიოზე მომუშავეთა ყრილობა, რომლის უკანასკნელ სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ მიიღონ პროფესიონალურა კავშირების წარმოების დარგების მიხედვით მოწყობის ისეთი პრინციპი, რომელიც ხელს შეუწყობს ეკონომიას და მუშათა კლასის ძალების კონცენტრაციას. ამ დღეინდებამდ თანახმით განზრახულია რომ ცენტრალურ პროფესიონალურ კავშირსთან არსებულ რადიო-სექციას საერთო სახალხო უროიერთობა დაკავშირების საშუალებათა კავშირში შევიდეს.

ტრანსპორტის გაუმჯობესება.

ასტრახანი, 14 სექტ მთელი ნავიგაციის დროს ასტრახანში ჩრდილოეთიდან შემოვიდა: გემებით 76 ათასი ფუთი ბარგი, საბარგო მატარებლებით 104 ათასი ფუთი; შემოსულა 79 ათასი მგზავრი; ასტრახანიდან გაუტანიათ 5 მილიონი ფუთი ბარგი და გასულა 53 ათასი მგზავრი.

უკანასკნელი სნობები
17 სექტემბერი.

სამხ. ოპერატ. რადიო-ცნობა რესპუბლიკის „რევოლუციის“ სახელზე შტაბისა.

პოლონეთით ფრონტი

გროდნოსა და ვოლოკოვსკის დასავლეთით გრძელდება ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები. ჩვენ წამოკეცვანეთ ტყვეები. კობრინის რაიონში ჩვენ ვაწარმოებთ კობრინზე წარმატებით შეტევას. კოველის და ლუცკის რაიონში სწარმოებს მკაცრი ბრძოლები. ლოვოის რაიონში მოწინააღმდეგესთან სასტიკ ბრძოლების შემდეგ ჩვენმა ნაწილებმა დაიხიეს დ. სტანისლავიკის, დ. სოკოლოვსკის, დ. ბელი-კამენის ხაზზე. ზრდილა გრძელდება.

ყირიმის ფრონტი

ორხეობის რაიონში ჩვენმა ნაწილებმა მოწინააღმდეგის ცხენოსანთა წინააღმდეგ სასტიკი ბრძოლების შემდეგ დ. ტოკმაჩკა-პოლოვის რკინის ხაზზე დაიხიეს, სადაც ბრძოლა გრძელდება. აზოვის ზღვაზე ჩვენმა ფლოტილიამ დაამარცხა მოწინააღმდეგის 7 ხომალდიდან შემდგარი ფლოტილია, მათში ერთი დაძირა, ორი დაზარადა. წამოკეცვილია ტყვეები.

პოლონეთის დელეგაცია რიგაში

მოსკოვი, 18 სექტემ. (რადიო) პოლონეთის დელეგაცია, რომელსაც სათავეში დომბოვსკი, გრასკი და გენერალი კულნიცი უდგანან, რიგაში მოვიდა. დელეგაციის თავმჯდომარემ, დომბოვსკიმ განაცხადა, რომ რიგაში გამარჯვებულ მოლაპარაკება პოლონეთისთვის გაგრძელდება იქნება მისკი და დაწყებულ მოლაპარაკებისა და რომ პოლონეთის მთავრობისაგან ამისთვის მოცემული ინსტრუქციები არავითარ სერიოზულ ცვლილებას არ შეიცავს.

საბჭოთა რუსეთის ელჩის დანიშვნა ტრაპიზონში

ბათუმი, 17 სექ. 8 სექტემბერს ტრაპიზონის ჩავიდა საბჭოთა რუსეთის რესპუბლიკის კონსული, ამხ. დანილოვი თავის მდივნით და თანამშრომლებითურთ. ამხ. დანილოვი დიდი პატივისცემით მიიღო ადგილობრივი მთავრობამ.

შავი ჭირი ბათუმში.

ბათუმი, 17 სექტემბერი. ბათუმში შავი ჭირი ძლიერდება. ამ უკანასკნელ ორი დღის განმავლობაში აღნაშნულია 15 შემთხვევა შავი ჭირით ავად გახდომისა.



საქართველოს მუშა-ქალთა ფურცელი

№ 2

გვანი მუშა ქალაქი და მათი შუამდგომლობა

ბურჟუაზიულ-კაპიტალისტურმა წარმოებამ გამოიყვანა ქალი წინანდელ კარჩაკეტილ მდგომარეობიდან და ჩააბა ის საზოგადოებრივ ცხოვრების ფერხულში; მაგრამ არა როგორც თავისუფალი, დამოუკიდებელი, არამედ, როგორც მონა, როგორც ნივთიერის მხრით, ისე უფლებრივად მხრითაც.

საწარმოო ძალების გაფართოებამ და წარმოებაში შრომის განმარტოებამ საშვალე მისცა კაპიტალისტებს გამოეყენებინათ ქალის შრომა, როგორც უფრო იაფი და მეტი მოგების მიმცემი, უზომოდ და უმოწყალოდ ეყვლინათ ის.

რაც დრო გადიოდა სულ უფრო მეტი რიცხვი პროლეტარი ქალებისა ემეობოდა წარმოებაში კაპიტალისტებისათვის მოგების მისაცემათ. იმპერიალისტურმა ომმა ძალიან დიდთ შეუწყობ ხელი ამ პროცესს და სულ უფრო და უფრო ახალი ასპარეზი მოუძებნა მუშა-ქალს.

ამან რასაკვირველია დადებითი როლიც შეასრულა: დაბადა მუშა-ქალებში სოლიდარობისა და იმის შეგნება, რომ მათი ბედნიერობა გადაჯაჭვულია საზოგადო მუშათა კლასის ბედზე. ამის თავდადება დღევანდელი მუშათა მოძრაობის სახე და მუშა-ქალთა როლიც მისში.

ქართველი ქალი კი ჯერაც ვერ განთავისუფლდა ძველებურ ცრუმორწმუნეობისა და მამაკაცის გონებრივ ბატონობისაგან; მას ჯერ კიდევ ვერ შეუგნია ის, რომ შეუძლია თავისუფლად, დამოუკიდებლად აზროვნება. საქართველოს ჯერ არ მიუცია ისეთი სოციალისტური კომუნისტური მუშა-ქალები, რომლებიც კომუნისტურ მოძრაობის სათავეში იქნებოდნენ და შეაკავშირებდნენ საქართველოს ყველა მუშა-ქალებს პროლეტარულ მოძრაობის ნიდავზე.

ეს ნაკლი შევსებულ უნდა იქნას! უნდა მოვაწყოთ მუშა-ქალთა შრომის პირველი იაჩიკები, ვავაგრძელოთ მათში ჩვენი კომუნისტური მოძრაობა, ავუხსნათ, განუარტოოთ დღევანდელი ავითარება და პროლეტარული ბრძოლის ეფიციენტობა და ასე ამ რიგით გვერდში ამოუყენონ საქართველოს მუშათა კლასს კომუნისტურ ბრძოლაში.

პირველი ნაბიჯი აქეთენ უკვე გადადგმულია: ჩვენ გვაქვს ყოველ კვირის კომუნისტური მუშა-ქალთა ფურცელი, რომელიც გააშუქებს საერთოდ მუშა-ქალთა ყოფა-ცხოვრებას, სხვა ქვეყნების გმირ მუშა ქალების თავდადებულ ბრძოლას მამაკაცებთან ერთად, რომელიც ხელს შეუწყობს მათ მჭიდროდ შეკავშირებას, გათვითცნობიერებას და კულტურულად ამაღლებას.

ქართველმა კომუნისტმა მუშა-ქალმა კი ხელი უნდა შეუწყოს ამას, სათავეში ჩაუდგეს საქართველოს მუშა-ქალთა შეკავშირებას, გამოიყვანოს ისინი პროლეტარულ განთავისუფლებულ ბრძოლის ასპარეზზე!

ჩვენი ლოზუნგი უნდა იყოს: საქართველოს მშრომელ-ქალთა კომუნისტური შეკავშირება, შეკავშირება და კიდევ შეკავშირება!

მუშა ქალთა საერთაშორისო კონფერენცია

მოსკოვის 30 ივლისს, საღამოს დიდი თეატრის შენობაში დიდის ზომით გახსნეს საერთაშორისო კონფერენცია კომუნისტ-ქალებისა მოსკოვის ყველა რაიონებს განხორციელებულ მომუშავე ქალებთან წარმომადგენლების თანადსწრებით კონფერენციაზე წარმოდგენილი იყვნენ კომუნისტ-ქალები ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის, შვეიცარიის, ნორვეგიის, ავსტრიის, დანიის, მექსიკის, ინდოეთის, კორეისა და მრავალი სხვა ქვეყნებისა. კონფერენცია გაიხსნა საღამოს 9 ს. გახსნისას სამხედრო ორკესტრმა შეასრულა „ინტერნაციონალი“, რასაც მწყობრით ააყვალა ხმა რამდენიმე ათასმა ქალმა. მეტად დიდი მომენტი იყო.

ამხ. ბუხარინი ხსნის კონფერენციას მისალმებით მე-3 კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტისაგან. თავის მისასალმებელ სიტყვაში ის აღნიშნავს, თუ როგორ სწრაფად იზრდება და მიდის წინ პროლეტარული კომუნისტური შეერთება-შეკავშირება საერთაშორისო მასშტაბით. მე-3 ინტერნაციონალის მეორე კონგრესზე წარმომადგენლობამ კონგრესზე მოგვცა საშუალება მოგვეჩვენა დღეს პირველი საერთაშორისო კონფერენცია კომუნისტ-ქალებისა. აღნიშნა რა, რომ ყოველგვარ მუშა-ქალი საერთაშორისო კაპიტალისაგან ჩავგვის წინააღმდეგ მებრძოლთა პირველ რიგში დგება, ამხ. ბუხარინი ამბობს, რომ ამ კონფერენციით საფუძველი ეყრება კომუნისტ ქალების საერთაშორისო შეკავშირებას, რომლებიც იერონის მიიტანენ კაპიტალისტური წეს-წყობილებაზე.

ამის შემდეგ კონფერენცია ირჩევს პრეზიდიუმს, რომელშიც შედიან შემდეგი ქვეყნების ქალთა წარმომადგენლები: ინგლისისაგან—ამხ. ნიუბოლდი, გერმანიისაგან—ამხ. როზა ვოლკმენი, რუსეთისაგან—ამხ. ინესა არმანი და შვეიცარიისაგან—კატო დამსტრემი, ერთი ალაგი პრეზიდიუმში დასტოვეს აღმოსავლეთის ქალთა წარმომადგენლისათვის.

პრეზიდიუმის საპატიო წევრებათ აირჩიეს: ამხ.—ები ლენინი, კოლონტი, კლარა ცეტკინა, კრუპსკაიასი და ბალაბანოვასი.

ამხ. ინესის წინადადებით კონფერენციამ დაადგინა გავგზავნოს მისასალმებელი დეპეშები ამხ. კლარა ცეტკინას და კოლონტიას.

მუშა ქალთა ერთი ჯგუფი წინადადებას იძლევა კონფერენციამ ფეხზე ადგომით პატივი სცეს ბრძოლაში დაღუპულთა კომუნისტ-ქალების როზა ლუქსენბურგის მეთაურობით ხსოვნას. კონფერენციის ყველა წევრები და მუშა ქალები დეპეშით ფეხზე და დარბაზში გაისმის სამლოცოვარო მარშის მედვარი ხმები.

ამხ. ლევი ესალმება კონფერენციას მე-3 ინტერნაციონალის მე-2 კონგრესის პრეზიდიუმის სახელით. ის ამბობს, რომ იმპერიალისტურმა ომმა ძირიან-ფესვიანად შესცვალა გერმანიის ქალთა ფსიხოლოგია; გერმანიის ქალმა ძალიან ბევრი მსხვერპლი გაიღო ახლობელი ადამიანების დაკარგვით ბრძოლის ველზე თუ ოჯახში, სადაც მისი ბავშვები სიმშობლივით უმოწყალოდ იხოცებოდნენ. ომის დროს მან იწყო მუშაობა ფაბრიკებშიც, ტრამვაებშიც, ქვანახშირის მალარობებშიც და ყველა ძნელ სამუშაოზე. ამხ. ლევიმ სთქვა, რომ კონგრესის დელეგატები, დაბრუნდებიან რა გერმანიაში, გაავრცელებენ იქ ცნობას იმის შესახებ, თუ რა კეთდება საერთოდ რუსეთში. ისინი მოუთხრობენ გერმანიის ქალებს, რომ რუსეთის მუშა-ქალი, რომელიც დემონსტრაციის დროს წითელ მოედანზე თოფით ხელში მიდის თავის ძმებ მუშებთან ერთად, მზათა ყოველივე წუთში მსხვერპლად შეეწიროს რევოლუციისათვის თუ ამას საჭიროება მოითხოვს, და მან გერმანიის ქალი კიდევ უფრო მედგრად წავა წინ თავის რევოლუციონური თვითშეგნების განვითარებაში. ის აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ ჩამორჩენილი ქალი დღევანდელ მომენტში მხურვალეთ იცავს რევოლუციის მონაპოვარს, რაიც მომასწავლებელია პროლეტარიატის სულ ადრე საბოლოოდ გამარჯვებისა საერთაშორისო ბურჟუაზიაზე. ის ასე ათავებს მისასალმებელ სიტყვას: „გაუმარჯოს რუსეთის მუშა-ქალს! გაუმარჯოს რევოლუციას!“

გერმანიის კომუნისტური პარტიის წარმომადგენელი ამხ. ლევის სიტყვა იწყებს ხანგრძლივ და მხურვალე ტაშს. ამხ. ინესა აქვეყნებს მისასალმებელ დეპეშებს პოლონეთის ბიუროსაგან და გერმანიის სექციის ცენტრალურ ბიუროსაგან, რომლებიც დაარსებულია რ. კ. პ. ცენტრალურ კომიტეტთან. შემდეგ აცხადებენ მისალმებებს, რომლებიც მიიღო კონფერენციამ ირანის კომუნისტ-

ქალებისაგან მთელი რიგი მუშა-ქალების სექციებიდან, მათ რიცხვში ტულადან, ელციდან, სარატოვიდან, კონსტანტიდან, წითელი პრესის 27000 მუშა ქალებიდან, რომლებიც 27 ივლისს დემონსტრაციას იღებდნენ მონაწილეობას და სხ.

ამხ. ინესის წინადადებით კონფერენციის პრეზიდიუმის პირველ სხდომაზე დევ შევსებულ იქნა მოსკოვისა და პეტროგრადის მუშა-ქალების წარმომადგენლებით ამხ. სმიდოვიჩისა და ნიკოლაევისა სახით.

სიტყვა ეძლევა გერმანიის მუშა-ქალების წარმომადგენელს ამხ. გოლდშტეინს, რომელიც ამბობს, რომ ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლუციის დიდი ხნით ადრე გერმანიის კომუნისტი ქალი უღიღესი ყურადღებით თვალყურს ადევნებდა თქვენს მოძრაობას, მარა კიდევ მეტი ყურადღებით და სიყვარულით უყურებს თქვენს მოძრაობას შესანარჩუნებლად. ამხ. გოლდშტეინი ამბობს, რომ ახლა გერმანიაშიც სწარმოებს მკაცრი ბრძოლა ჩვენი იდეალებისათვის, რომ გერმანიის ხალხი ეს მეთაურობა შეეტყუა ბურჟუაზიას სამკვდრო-სასიცოცხლოთ. ის ამბობს, რომ მას ექვი ერთ ეპარება, რომ ამ წუთში, როცა აქ კომუნისტ-ქალებს საერთაშორისო კონფერენციის სხდომებია, გერმანიის ქალების თვალგადასათრია მოაპრობილი მოსკოვში, გრძნობენ რა რომ აქ იქედმა ბრწყინვალე მომავალი მთელი ქვეყნის. გასანათვისებულ და უკვე განთავისუფლებული ხალხებისათვის თავის სიტყვას ის ასე აბოლაგებს: „გაუმარჯოს დიდ კომუნისტურ რუსეთს! გაუმარჯოს მე-III ინტერნაციონალს!“

შემდეგი მისასალმებელი სიტყვით გამოდის ავსტრიის წარმომადგენელი ქალი ამხ. შტრენერი. ამას შემდეგ სწარმოებს მთელი რიგი მისალმების პირველი საერთაშორისო კონფერენციისადმი, რომელიც დღეს იწყებს თავის საქმიან მუშაობას.

საერთაშორისო მუშა-ქალთა მოძრაობა აშკერადა

ევროპის ყველა ქალაქებში გაგრძელდა შუიციანი აზრი, თითქოს მდ. დარ „თავისუფალ“ ამერიკაში ქალის მდგომარეობა გაცილებით უკეთესია, ვიდრე სხვა რომელიმე ქვეყანაში.

მიგმართოთ ოფიციალურ სტატისტიკის ციფრებს და ისინი დაგვიბტკიცებენ, რომ კაპიტალისტურ ამერიკაში პროლეტარი ქალი იმყოფება გაცილებით უარეს პირობებში, ვინემ მისი მამა-მამაკაცი.

1910 წლის სახელმწიფოს აღწერილობის თანახმად საერთო რიცხვი ქალებისა რომელიც თავისი საკუთარი შრომით შოულობენ თავისებოდა საშუალებას, უდრდა 8,075,000 ადამიანს, რაიც უდრდა 23,4 პროც. ყველა ქალთა მცხოვრებლებისა სახელმწიფოში ათი წლის წინათ.

ბავშვებისა და ახალგაზრდების ექსპლუატაცია „განათლებულ“ ამერიკაში აღსაფიქრებელია. 1910 წელს ყოველივე 5 ქალშვილისაგან 14—15 წლისამდე ერთი მაინც დაქირავებული შრომით ცხოვრობდა.

ზემო მოყვანილი ციფრები მეტად ჩამორჩენილია ცხოვრებას, ვინაიდან საერთო აღწერილობა ამერიკაში ათ წელში ერთხელა და 1920 წლის აღწერილობის მისაღებში კი ჯერ კიდევ დამუშავების პროცენტშია. მარა შემთხვევითი გამოკვლევების ციფრები გვეუბნება ჩვენ, რომ საერთაშორისო ომის დაწყების შემდეგ მუშა-ქალთა რიცხვი გაიზარდა რაოდენიმე მილიონობით.

ომმა მრყველობაში და აღებ-მიცემაში ზოგი გადარტყა და გამოიწვია ყველა დაწყებული მუშა, ფაბრიკა-ქარხნებში და მეტად მძიმე სამუშაო ინდუსტრიაშიც, ქალმა დაიჭირა მამაკაცის ალაგი, რომელიც ფრონტზე წავიდა. 1917 წლიდან ჩვენ ქალებს ვხედავთ—ტრამვაის კონდუქტორთა, დამტვირთავ-გადამტვირთველთა, ელექტრონისა და გაზის სადგურებზე და ქარხნებში, რკინის

გზის სახელმწიფოში და სხვა. მეტად დიდი მოთხოვნა იყო ქალთა შრომისა სამხედრო მრეწველობაში. 1915 წ. დასაწყისიდან 1918 წლის ოქტომბრამდე, ესე იგი თითქმის ოთხი წლის განმავლობაში, მარტო სამხედრო მრეწველობა დაიჭირა სხვა და სხვა სამუშაოზე დაახლოებით ერთი მილიონი მუშა-ქალი. ამ რიცხვიდან დახლოებით 400 ათასი ქალი მუშაობდა ტანსაცმელების შესაკერავ ფაბრიკაში და დანარჩენი ნახევარი მილიონზე მეტი ქალი კი მუშაობდნენ სხვა და სხვა სამხედრო კანტინებში.

აგრეთვე ომის დაწყების შემდეგ მეტად გაიზარდა მოთხოვნა ქალთა შრომისა სასოფლო-მეურნეობაშიც. 1918 წელში მთავრობამ იწყო სასოფლო-სამეურნეო ქალთა გუნდების მოწყობა („пoлeвaя apмия“). ეს გუნდები ეწყობოდა პარტიული ლოზუნგების ზეგავლენით, მარა შრომის საფასურით მათ რაღაცა გროშებს წაუგდებდნენ.

შეგვირდეთ ქალთა შრომის საფასურზე. 1919 წლის აღწერილობის სტატისტიკის ცნობებზე ვიხივებთ ჩვენ შემდეგს: მუშა ახალგაზრდა ქალთა-შრომის ხელფასისა სამხედრო-კატორა დარგში, მამაკაცთა დამზადებულ ტანსაცმელების მალაზიებში, შუშულოების და აბრეშუმეულობის დამზადებულ დარგებში და 23 სხვა და სხვა დარგებში: 6 დან 8 დოლარამდე კვირაში არა ნაკლებ ათი საათის სამუშაოდ. იმავე დარგებში ისეთივე შრომა მამაკაცისა ფასობდა არა ნაკლებ 10 დოლარისა კვირაში. სტატისტიკის ზომა არ გვაძლევს ჩვენ ნებას მოვიყვანოთ მთელი რიგი ანალოგიური ციფრებისა მრეწველობის ყველა დარგებში და და სოფლის მეურნეობიდან.

მუშა-ქალის დაბალი ხელფასის შედეგები იგივეა ამერიკაშიც, რაც სხვა ყველა კაპიტალისტური ქვეყნებში: პროსტიტუცია, ქლეტი და მეტად დიდი რიცხვი ბავშვთა სიკვდილისა.

1917 წელში მუშა ქალთა გამძინავრებულ მოძრაობის ზეგავლენით გამოიქცა კანონი, რომლითაც მუშა-ქალის ხელფასი განისაზღვრა მინიმუმით 13 დოლარ ნახევარით კვირაში, ეს კანონი დარჩა ქაღალდზე... 1919 წელში ქალის შრომის საფასურით ბევრი დარგებში უდრი და 9—10 დოლარს კვირაში. ეს მაშინ როცა პირველ მოთხოვნილებათა საგნების ფასები ოფიციალური ანგარიშების გაიზარდა 100 პროც. ანაირათ. ომის დროს მუშა ქალის მდგომარეობა მიუხედავად ხელფასის მომატებისა, კი არ გაუმჯობესდა, არამედ კიდევ უფრო გაუარესდა.

ევროპის პირობების ზეგავლენით ამერიკის მუშა ქალებმა დაიწყეს აქტიური მონაწილეობის მიღება კლასთა ბრძოლაში. ომის დროს სუსტი პროფესიონალური კავშირები ნემსზე მომუშავეთა, ტელეგრაფისტებისა, ტელეფონისტებისა, მასწავლებლებისა და ბევრი სხვა მძლავრი ორგანიზაციებით გადაიქცა, ვინაიდან ძალიან ბევრი მუშა ქალი ჩაერთო ამ კავშირებში ომის განმავლობაში. ამ უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში მომხდარი გფიცვებში მუშა-ქალებმა გააბიძგეს არა ჩვეულებრივი ხასიათის სიმტკიცე და გამბედაობა; იყო ასეთი შემთხვევებიც, როგორც მაგალითად მქსოველთა გაფიცვის დროს, რომელიც გაგრძელდა 3 თემნევილიდან 20 მიუსამდრის 1919 წ. როცა მუშა ქალები, ცალკე გუნდებით შეკავშირებულნი, ხელნართულ ბრძოლას ეწეოდნენ შტრიკ ბრეხერ-მოლატეებისა და პოლიციის წინააღმდეგ.

არა ნაკლები შესაძინევი როლი ითამაშეს მუშა ქალებმა ახალ კომუნისტურ მოძრაობაში. ამერიკის ორივე კომუნისტურ პარტიაში, რომლებიც ახლანდელ შემთხვევაში და დაარსდა ახალი კომუნისტური პარტია, ჩვენ ვხედავთ ქალებს, რომელთა შრომის არა ერთი და ორი თავდადებული და საქმიან მომზადებული აგიტატორები და ორგანიზატორები. ბევრმა ახალგაზრდა მუშა-ქალმა გაითქვა სახელი მუშათა მოძრაობაში და უჭირავს დღესაც მეტად საპასუხისმგებლო პოსტს. მათ გმირულად გადაეკეთათ თავის თავზე არალეგალური მუშაობისა და ციხეების ყოველგვარი სიმძიმე და დაბრკოლებანი.

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკაში ქალებმა დღევანდლამდის ვერ მოიპოვეს სრული პოლიტიკური თანასწორობები. ამიტომ ბევრი მუშა

ქალი დღესაც განაგრძობენ მონაწილეობის მიღებას საერთო ქალთა მოძრაობაში. ახლა კი ქალთა თანასწორობებისათვის ბრძოლა ბოლოვდება. ფედერალური მთავრობა მიეზრო ქალთა თანასწორობებისათვის და ეს საკითხი უკვე დაიხსნა ყველა შტატებში, რათა ხალხმა კენჭისყრით გამოეხატა თავისი აზრი ამის შესახებ (რეფერენდუმი). იენკის ყრა თითქმის ყველგან დამთავრდა და მისი შედეგები უშეკველია ქალთა კავშირების სასარგებლოდ იქნება.

მარა ამერიკის მუშა ქალთა ფართო მასები სულ უფრო და უფრო იმსჯელებენ იმ შეგნებით, რომ პოლიტიკური თანასწორობებისათვის არაა არაობას წარმოდგენს მამამ, სანამ მთელი ძალა უფლება სახელმწიფოში არ გადავაპროლეტარიატის ხელში. ისინი უკვე დარწმუნდნენ, რომ არა პარლამენტის მისცემს მათ თავისუფლების საუკუნოებითი მონაწილეობის, არამედ პროლეტარ მამაკაცთან ერთად ხელი-ხელ ჩაიდებულნი რევოლუციონური ბრძოლა კომუნისტების სადღესასწაულოდ.

საფრანგეთის კომუნისტ ქალის საღამო რუსეთის დებს

მე ბედნიერი ვარ, მაქვს რა საშუალება ვიხილო თქვენ, თუ როგორ მხურვალეთ შეგიყვარეთ მის შემდეგ, რაც თქვენ შორის ვიპოვეთ რუსეთში. მე უკვე ვიცი, რომ თქვენმა უდიდესმა სამკითხველმა რესპუბლიკამ ბევრი გააკეთა ქალების საუკუნოებითი მონაწილეობის განათავისუფლებლად, რომელთა მდგომარეობაც უფრო მძიმე და აუტანელი იყო, ვინემ მათი დების დასავლეთ გერმანიაში. მხოლოდ ვინც თქვენ შორის ცხოვრობს, მას შეუძლია დააფასოს ის უდიდესი წარმატებანი, რასაც თქვენ ასე მოკლე დროში მიადწიეთ, მიუხედავად ათასგვარი დაბრკოლებისა და შეფრთხილებისა, რომელიც თქვენ მოგაყენია შურის მიღებთ და გულგადრდიანობით აღესილმა ბურჟუაზიულმა მთავრობამ.

ქრებზე თუ სამუშაოზე მე ვხედავდი თქვენში ერთად იმავე ენობას (თვითშეგნებას, მიუხედავად იმისა, თუ როგორია სამოღვაწეო ასპარეზი, სადაც თქვენ გიბრძობდით თქვენი უნარის გამოჩენა. დღითი დღე მე უფრო და უფრო ვეცნობი ყოველივე იმას, რაიც უკვე მოვისწრიათ განგებორცელებინათ სხვა და სხვა ასპარეზებზე (პრობა-განდა მუშა ქალთა და გლეხთა შორის, აღმზრდელიობითი კლუბები, მოზარდათათვის, პროფესიონალური შკოლები და უმშვენიერესი კალონიები და სასწავლებლები ქალაქს გარეთ პირდაპირ ცის ქვეშ გაშლილ და სუფთა პავრზე).

მე ვიცი, რომ თქვენ სცხოვრობთ მხოლოდ საზოგადოებრივი ინტერესებით, რომ თქვენ ყველაფერისათვის მზათ ხართ როცა საქმე თქვენს რევოლუციის ხსნას ეხება, და მე ვფიქრობ, რომ რუსეთის კომუნისტი ქალი, მუშაობს ის „თავის“ ფაბრიკაზე თუ „თავის“ ორგანიზაციაში „თავის“ მინდორ ველზე თუ წითელ არმიასში,—ის ყოველთვის და ყოველგან ღირსი იწოდებოდა გმირათ.

კაპობროვის ისტორიაში თქვენ დღეს პირველი ალაგი დაიკავეთ მთელი ქვეყნის ქალთა შორის. თქვენ დღეს ჩვენი მეგობრები და ხელმძღვანელები ხართ და ყველა ჩვენი პატარ-პატარა მონაპოვარნი უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში ისეთი მჭირე და უმნიშვნელო ყოველივე იმასთან შედარებით, რაიც თქვენ მოიპოვეთ და განამტკიცეთ.

ბლოკადის რკინის სალტე, რომ ღიათა თქვენ გარშემორტყმული იყავით, თანდათან ირღვევა და ჩვენ ვეძებოდა საშვალე მთავრად თქვენთან, გავეცნობთ თქვენს თავდადებულ მუშაობას და ჩვენც მივიღოთ მონაწილეობა თქვენს ცხოვრებაში. ახლა რუსეთში ბევრი ამხანაგები მოვიდნენ მესაღებ ინტერნაციონალის მეორე კონგრესზე, როცა ისინი თავის ქვეყნებში დაბრუნდებიან, მოუთხრობენ თავიანთ ქალებს ყოველივე იმის შესახებ, რაიც მათმა დებმა გახაზორცილეს რუსეთში, და ამხანაგთა ყოველგვარ შეიქნება ქალთა ძლიერების ორგანიზაციები, რომლებიც მზათ იქნებიან სოციალისტური რევოლუციისათვის, რომელსაც მხოლოდ ერთად-ერთს შეუძლია მათი საბოლოოდ განთავისუფლება.

აი რატომ, ძვირფასო ამხანაგებო, რაოდენ მძიმე და აუტანელი არ იყოს ის განცდანი, რომლებსა გადალახვა თქვენ გინდებათ, უფრო მჭიდროდ შეკავშირეთ თქვენი როგორი, იყავით მედვარი,—თქვენ ახლა მარტონი არა ხართ. დაქრავ ყველა ხალხების განთავისუფლების სათავე. თქვენ ჩვენ ვაჩვენეთ გზა, ჩვენც თქვენ გამოგვეხიბთ და გამარჯვება უზრუნველყოფილია.

გაუმარჯოს საერთაშორისო სამკითხველ რესპუბლიკას.

დრ. რედაქტორი: დიმიტრი ჯორბენაძე